ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 604

25 ნოემბერი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

სსიპ ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლისთვის ბესარიონ კივილაძის და ალექსანდრე თანდაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების მე-4[1] მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სსიპ ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს, რომ აღნიშნულ სკოლას მიენიჭოს ბესარიონ კივილაძის და ალექსანდრე თანდაშვილის სახელი და სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. „სსიპ - ბესარიონ კივილაძის და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლა".

3. განკარგულების გამოცემიდან სამი კვირის ვადაში, სსიპ ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის მხრიდან განსაზღვრული დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოუდგენლობის შემთხვევაში, წინამდებარე განკარგულება ჩაითვალოს ძალადაკარგულად მისი გამოცემის დღიდან.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე